საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაცია

საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი

- საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაცია ხორციელდება ავტორიზაციის საფუძველზე;
- საქმიანობა შეუძლია განახორციელოს როგორც საკუთარი ქსელის/აბონენტების მფლობელმა ოპერატორმა, აგრეთვე პირმა, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი მობილური ან/და ფიქსირებული ქსელი/აბონენტები;

საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების ჩამონათვალი

1	მაგთიკომი	11	გუდვილკომი
2	ჯეოსელი	12	ინტელფონი
3	მობიტელი	13	კავკასუს ონლაინი
4	სილქნეტი	14	ლაგი
5	**GTC**	15	მაიფონი
6	**Premium Net International S.R.L.**	16	ნიუ ვიჟენი
7	**SK Communication**	17	სერვისნეტი
8	ალექსდეველოპმენტი	18	სისტემნეტი
9	ახალი ტექნოლოგიები	19	სმარტლაინი
10	გლობალ ერთი	20	ჯეონეთი

საქართველოს მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში საერთაშორისო ზარის დასრულების საფასური

დღეის მდგომარეობით საქართველოში ზარის დასრულების მომსახურება უცხოეთის ოპერატორებზე, ფაქტიურად უახლოვდება მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში ზარის დასრულების/ურთიერთჩართვის საფასურს (მობილურ ქსელებში - 5 თეთრი/წუთი; ფიქსირებულ ქსელებში - 2 თეთრი/წუთი) და საშუალოდ შეადგენს:

- **მობილურ ქსელებში - 3,5 აშშ ცენტი/წუთი;**
- **ფიქსირებულ ქსელებში - 1,5 აშშ ცენტი/წუთი;**

სხვა ქვეყნებში ზარის დასრულების საშუალო ფასი
(აშშ დოლარი ცენტი)

ქვეყანა	მობილური ქსელი	ფიქსირებული ქსელი
რუსეთი	**15,1**	**3,3**
(მოსკოვი)	**-**	**1,6**
უკრაინა	**17,7**	**8,9**
ბელორუსია	**28,3**	**27,5**
აზერბაიჯანი	**27,9**	**17,5**
სომხეთი	**17,2**	**8,5**
თურქეთი	**11,6**	**3,4**
საბერძნეთი	**2,7**	**1,3**
გერმანია	**3,4**	**1,2**
ესპანეთი	**2,5**	**1,4**
იტალია	**2,2**	**1,2**

კომისიას განზრახული აქვს დაადგინოს მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში საერთაშორისო ზარის დასრულების ურთიერთჩართვის ტარიფისგან განსხვავებული ტარიფი.

- მობილურ ქსელებში ზარის დასრულება - 35 თეთრი (20 ცენტი);
- ფიქსირებულ ქსელებში - 20 თეთრი (11,5 ცენტი).

შენიშვნა: ტარიფების ზრდა არ ეხება საქართველოს აბონენტებს და იგი უცხოელი კომპანიების გადასახადს წარმოადგენს.

მოსალოდნელი შემოსავლები
(წლის განმავლობაში)

საერთაშორისო შემომავალ ზარებზე კომისიის მიერ ახალი დროებითი რეგულაციის დადგენის შემდეგ, შესაბამისი მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა წელიწადში უნდა შეადგინოს **103,5 მლნ ლარი**, მათ შორის:

- მობილურ ქსელებში ზარის დასრულებაზე - **86,8 მლნ.** ლარი;
- ფიქსირებულ ქსელებში ზარის დასრულებაზე - **16, 7 მლნ.** ლარი.

შენიშვნა: გაანგარიშება მომზადებულია 2014 წლის 6 თვის ფაქტიური ტრაფიკის ოდენობის და სტრუქტურის მიხედვით.